# საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/114 „27" ოქტომბერი 2022 წ.

# განკარგულება

**თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლის კონკურსის გარეშე დანიშვნის საკითხის ინიცირების თაობაზე**

1. „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 37-ე მუხლისა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის №1/208-2007 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის" $13^{1}$ მუხლის მე-4 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, ინიცირებულ იქნეს თანამდებობაზე დანიშნული მოსამართლის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლედ კონკურსის გარეშე, თავისი უფლებამოსილების ვადის ფარგლებში, დანიშვნის საკითხი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში არსებულ მოსამართლის 3 ვაკანტურ თანამდებობაზე.

2. აღნიშნულ თანამდებობაზე დანიშვნის მსურველ მოსამართლეთა მიერ განაცხადების წარდგენა განხორციელდეს 2022 წლის 27 ოქტომბრიდან 31 ოქტომბრის ჩათვლით.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის

უმაღლესი საბჭოს მდივანი